სს „მიკრობანკი კრისტალის“ მიმართ ფულადი ჯარიმის დაკისრების თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიკრობანკი - სს „მიკრობანკი კრისტალი“ (ს/ნ 212896570, ლიცენზიის ნომერი №52) - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2023 წლის 21 ივნისის №123/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკრობანკების და მისი ადმინისტრატორების მიმართ ფულადი ჯარიმების განსაზღვრისა და დაკისრების წესი“-ს მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ჯამურად, 15,000 (თხუთმეტი ათასი) ლარით დააჯარიმა. აღნიშნული ჯარიმა მოიცავს ანგარიშგების, სხვა ფინანსური და სტატისტიკური ინფორმაციის დადგენილი ან/და შემუშავებული ფორმით (მათ შორის, არაზუსტი, არასწორი ინფორმაციის წარდგენა) ან/და დადგენილ ვადებში საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარუდგენლობას.